ნოდარ ასათიანი, მარიამ ლორთქიფანიძე, ფარნაოზ ლომაშვილი,
როინ მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, გიორგი ოთხმეზური

საქართველოს ისტორია

მოსწავლის წიგნი

9

გრიფი მიენიჭა ს.ს.ი.პ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება N 375, 18.05.2012)

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

I თავი — ქართველი ხალხის წარმომავლობა

1. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება 8
2. პირველყოფილი ადამიანი საქართველოში. ქვის ხანა. ენეოლითი 13
3. შუა და გვიან ბრინჯაოს ხანა საქართველოში 19
4. ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი 23



II თავი — საქართველო ძველაღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში

5. დაიაენი – დიაოხი 28
6. კოლხა (კოლხეთი) მითსა და სინამდვილეში 31
7. კიმერიელებისა და სკვითების შემოსევები 34
8. ეგრისის (კოლხეთის) სამეფო ძვ. წ. VI-I საუკუნეებში 37
9. ფარნავაზ მეფე და მისი ეპოქა 40
10. საქართველო-რომის ურთიერთობები ანტიკურ ხანაში 45
11. ანტიკური საქართველოს რელიგია და კულტურა 51



III თავი — საქართველო ადრეფეოდალურ ხანასა და განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისში (IV-XI სს)



12. ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა და გავრცელება საქართველოში 56
13. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 60
14. ქართველი ხალხის ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ IV ს-ის ბოლოს და V ს-ის პირველ ნახევარში 65
15. ვახტანგ გორგასლის გამეფება და მოღვაწეობის პირველი პერიოდი 69
16. ქართლის ბრძოლა ირანის ბატონობის წინააღმდეგ ვახტანგ გორგასლის მეთაურობით 74
17. საქართველო VI საუკუნეში 78
18. ირანელთა განდევნა ქართლიდან 84
19. საქართველო VII ს-ის პირველ ნახევარში 89
20. არაბების პირველი გამოჩენა ქართლში, „დაცვის სიგელი“. არაბები დასავლეთ საქართველოში 93
21. საქართველო არაბთა ბატონობის ხანაში 97
22. საქართველოს განთავისუფლება არაბთა ბატონობისაგან 102
23. ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში 105







88

120

134

III თავი

24. საქართველოს გაერთიანების წინა პერიოდი 110
25. ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ისტორიული პირობები და თავისებურებანი 115
26. ბაგრატ III – ერთიანი შუასაუკუნოვანი საქართველოს პირველი მეფე 118
27. ქართული კულტურა IV-X საუკუნეებში 123
28. გიორგი I. ბაგრატ IV 136
29. საქართველო-სელჩუკების ურთიერთობა XI საუკუნეში 141
30. განვითარებული ფეოდალიზმის ხანის კულტურა 146

საქართველოს „ოქროს ხანა“


153


161

171

182

IV თავი

31. დავით IV-ის გამეფება 153
32. დავით აღმაშენებლის ღონისძიებები ამიერკავკასიიდან თურქთა გასადევნად 157
33. დიდგორის ბრძოლა და მისი შედეგები 161
34. საქართველო — კავკასიის გამაერთიანებელი სახელმწიფო 165
35. საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს 169
36. თამარის გამეფება და საშინაო პოლიტიკური კრიზისი 173
37. საქართველოს საგარეო პოლიტიკა XII-XIII სს. მიჯნაზე 177
38. საქართველო — წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო 181
39. საქართველოს ეკონომიკური განვითარება XII ს. და XIII საუკუნის დასაწყისში 185
40. საქართველოს სახელმწიფო წყობილება XIII საუკუნის დასაწყისში 191
41. ქართული კულტურა XII საუკუნესა და XIII ს. დასაწყისში 193

ქართული სახელმწიფოს დეგრადაცია და დაშლა


200

207

V თავი

42. ლაშა-გიორგის მეფობა და ჯალალ ად-დინის შემოსევები. მონღოლთა ბატონობის დამყარება 198
43. ბრძოლა მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ 204
44. გიორგი ბრწყინვალე და საქართველოს ერთიანობის აღდგენა 212
45. ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად 218

VI თავი

საქართველო XVI-XVII სს.-ში. ბრძოლა ყიზილბაშებისა და ოსმალების წინააღმდეგ

46. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის პირველ ნახევარში 226
47. საქართველო XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში 233
48. ბრძოლა ყიზილბაშთა წინააღმდეგ 237
49. მუსლიმი მეფეების მმართველობა ქართლ-კახეთში 244
50. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XVI-XVII საუკუნეებში 249
51. ქართული კულტურა 252





VII თავი

საქართველო XVIII საუკუნეში

52. ვახტანგ VI. ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში 256
53. სამართალი და ეტიკეტი შუა საუკუნეების საქართველოში 262
54. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ერთობლივი მეფობა 268
55. ქართლ-კახეთი XVIII საუკუნის 50-იან წლებში 272
56. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ურთიერთობა რუსეთთან 277
57. სოლომონ I 281
58. საქართველო რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადება 287
59. გეორგიევსკის ტრაქტატი 292
60. ქართული კულტურა XVIII საუკუნის II ნახევარში 299



VIII თავი

საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

61. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და მისი შედეგები 306
62. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პოლიტიკური შედეგები 310
63. 1832 წლის შეთქმულება 315
64. საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX ს.-ის 30-50-იან წლებში 318

324

328


345

356

368

390

396

413

420

VIII თავი

65. საქართველო XIX საუკუნის შუა ხანებში 320
66. ქართული კულტურა XIX საუკუნის პირველ ნახევარში 324
67. ფეოდალური წყობილების კრიზისი რუსეთსა და საქართველოში 328
68. აჭარის შემოერთება და ეროვნული მოძრაობის ხასიათი XIX ს-ის II ნახევარში 336
69. გლეხთა მოძრაობა და ხალხოსნები 340
70. ქართული კულტურა XIX საუკუნის მეორე ნახევარში 345
71. საქართველო რუსეთის პირველი (1905-1907) რევოლუციის პერიოდში 351
72. საქართველო რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებს შორის 356

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

IX თავი

73. საქართველო ოქტომბრის გადატრიალების დროს 362
74. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება 368

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში

X თავი

75. საბჭოთა რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს დაპყრობა 375
76. საბჭოთა რეჟიმის დამყარება 380
77. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 1921-30 წლებში 386
78. საქართველო და მეორე მსოფლიო ომი 390
79. საქართველო სსრკ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 396
80. ქართული კულტურა საბჭოთა პერიოდში 403
81. საქართველო გარდაქმნის („პერესტროიკის“) პერიოდში 412

დამოუკიდებელი საქართველო

XI თავი

82. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და საომარი კონფლიქტები 417
83. საქართველო დამოუკიდებლობის პერიოდში. „ვარდების“ რევოლუცია. ინტეგრაცია ევროსტრუქტურებში 422

საქართველო და ქართველი ხალხის წარმომავლობა

1. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

წინარეისტორიული ხანა



გურია

როგორც ყველა ხალხის, ისე ქართველი ხალხის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, რომელშიც მას საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა ცხოვრება. საქართველო ორი დიდი კონტინენტის – ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს. მისი მიწა ატარებს იმ დიდი ცვლილებების კვალს, რასაც ჩვენი პლანეტა მილიონობით წლების განმავლობაში განიცდიდა.

ერთ დროს კავკასიის მთელი ტერიტორია ზღვით იყო დაფარული. სხვადასხვა გეოლოგიური მოვლენის შედეგად ხმელეთი რამდენჯერმე ამოიზიდა, იყო მძლავრი ვულკანური ამოფრქვევები. შემდეგ მიწის ზედაპირი კვლავ ქვევით იწევდა და ტერიტორიის დიდ ნაწილს ისევ ზღვა იჭერდა. დაახლოებით 25 მილიონი წლის წინ მთათა წარმომქმნელმა ძალებმა კვლავ ამოსწია ხმელეთი, რის შედეგადაც წარმოიქმნა კავკასიის ქედის მთათა სისტემა, ხოლო 10-15 მილიონი წლის წინ ჩამოყალიბდა აჭარა-თრიალეთისა და სხვა ქედების სისტემა, რომლებიც დღეს ქმნიან სამხრეთ საქართველოს მთიანეთს. აღნიშნული გეოლოგიური მოვლენების შედეგად კასპიის ზღვა მოწყდა შავ ზღვას და მათ შორის კავკასიის ყელი გაჩნდა. ამ დროიდან იწყება საქართველოს ტერიტორიის თანამედროვე რელიეფის ჩამოყალიბება. დაახლოებით 1 მილიონი წლის წინ საქართველოს ბუნებრივმა პირობებმა თითქმის ისეთი სახე მიიღო, როგორიც ამჟამად არის. ადრე ჰავა შედარებით უფრო თბილი იყო, მაგრამ დროდადრო ადგილი ჰქონდა გამყინვარებას, რომლის დროსაც მაღალმთიანი ადგილებიდან დაბლობისაკენ მოემართებოდა მყინვართა უზარმაზარი მასები, რასაც მოჰყვებოდა აციება და ბუნებრივი პირობების შეცვლა. ჩვენში გამყინვარება ოთხჯერ განმეორდა. საბოლოოდ, რამდენიმე ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა საქართველოს ის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, რომელშიც ამჟამად უხდება ადამიანს ცხოვრება.

საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიული დახასიათება

ჩრდილოეთის მხრიდან საქართველოს მაღალმწვერვალებიანი და მუდმივი მყინვარებით დაფარული კავკასიონის ქედი ესაზღვრება, სამხრეთით კი ვრცლადაა გაშლილი მცირე კავკასიონის მთათა სისტემა, ანუ საქართველოს სამხრეთი მთიანეთი. თვითონ კავკასიონიდან სამხრეთისაკენ რამდენიმე შედარებით მცირე სიმაღლის ქედი ეშვება, რომელთაგან ლიხის, ანუ სურამის ქედი საქართველოს ორ ნაწილად – დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ჰყოფს. ამ მთების მაღლობებზე შესანიშნავი საზაფხულო საძოვრებია, უფრო ქვემოთ მთის კალთები ხშირი ტყითაა დაფარული. მთაგორიანი ადგილები თანდათან ზეგნებსა და დაბლობებში გადადის. ჩრდილოეთისა და სამხრეთის

სვანეთი

მთათა მასივებს შორის მოქცეულია საქართველოს ბარი. დასავლეთით კოლხეთის ბარი სამკუთხედის ფორმისაა, რომლის ფუძე შავი ზღვისკენაა მიქცეული. მისი ყველაზე დაბალი ადგილი – კოლხეთის დაბლობი ძველად გაუვალი ჭაობით იყო დაფარული. კოლხეთის დაბლობი მთების მიმართულებით თანდათან მაღლდება და ზეგანში გადადის. ეს ადგილები განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო დასასახლებლად და მეურნეობის წარმოებისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის ბარი. აქაც ეს დაბლობი ადგილები ზეგნებსა და მაღლობებში გადადის. ჰავა დასავლეთ საქართველოსთან შედარებით მშრალია, ამიტომ სოფლის მეურნეობისათვის ხელოვნურ მორწყვას აქ დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ჰავა, ისევე, როგორც მისი რელიეფი, დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მაღალმთიან ადგილებში ჰავა მკაცრია, დაბლობში კი იგი თანდათან რბილდება. ზეგნებსა და დაბლობებში ძირითადად ზომიერი ჰავა ბატონობს, თუმცა ადგილ-ადგილ აქაც დიდად განსხვავებული კლიმატური რაიონებია. მაგალითად, შავიზღვისპირეთში ჰავა ნესტიანი და სუბტროპიკულია, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ზოგან რბილი და ზომიერად მშრალია, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი უდაბნოს ცხელი სუნთქვაც აღწევს.

საქართველოში მრავლადაა დიდი და მცირე მდინარეები. ისინი სათავეს იღებენ როგორც კავკასიონის მთავარ ქედზე და მის განშტოებებზე, ისე სამხრეთ მთიანეთში. მდინარეები ათეულობით ხევებს ქმნიან და შემდეგ ერთვიან უფრო დიდ მდინარეებს – მტკვარს, რიონს, ჭოროხს, ალაზანს და სხვ., ან უშუალოდ ზღვას უერთდებიან. ეს დიდი მდინარეები (მტკვარი, რიონი) ძველ დროში სანაოსნოდაც იყო გამოყენებული.

საქართველო მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით: მადნეულით, სათბობით, საშენი მასალით. მადნეულიდან აღსანიშნავია სპილენძისა და რკინის საბადოები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აქ მეტალურგიის ადრევე წარმოქმნისა და განვითარებისათვის.

საქართველოს ისტორიის შესწავლისას ჩვენ შევხვდებით ისტორიულ-გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რომლებსაც საქართველოს ესა თუ ის კუთხე ან მხარე ატარებდა გარკვეულ პერიოდში. ისტორიული მოვლენების სწორი და თვალნათელი წარმოდგენისათვის უნდა ვიცოდეთ ამ მხარეების (ანუ ქართული „ქვეყნების“) ადგილმდებარეობა და ისტორიული საზღვრები. დროდადრო მათი სახელწოდებები იცვლებოდა, საზღვრები უფრო ვრცელი ხდებოდა, ფართოვდებოდა, ზოგჯერ კი პირიქით, მცირდებოდა – „ქვეყანა“ უფრო პატარა კუთხეებად იყოფოდა.

საქართველოს ცენტრალური მხარეა ქართლი. მისი სახელწოდებიდან მომდინარეობს „ქართველი“ და „საქართველო“. ქართლი შედგება ცალკეული ნაწილებისაგან: შიდა, ქვემო და ზემო ქართლისაგან. შიდა ქართლს დასავლეთით ლიხის ქედი ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთით კავკასიონის მთავარი ქედი, აღმოსავლეთით – მდ. არაგვი,

სამხრეთით – თრიალეთის ქედი. ქვემო ქართლი კი თრიალეთის ქედის სამხრეთით მდებარეობდა და მდინარეების – ალგეთისა და ხრამის ხეობებს მოიცავდა. იგი დასავლეთით ჯავახეთის, ხოლო სამხრეთით ბამბაკი-ერევნის ქედით იყო შემოსაზღვრული. ზემო ქართლი ანუ მესხეთი, აერთიანებდა მდ. მტკვრის შემოგარენს, მდინარის სათავიდან ტაშისკარამდე და ჭოროხის აუზს – სათავიდან აჭარისწყლის ხეობამდე.

ქართლს აღმოსავლეთით კახეთ-ჰერეთი ესაზღვრებოდა. ადრე კახეთი მდ. ივრისა და ალაზნის ზემო წელს მოიცავდა, ჰერეთი კი – ამ მდინარეების შუა და ქვემო წელს. XV საუკუნიდან ეს ორი ქვეყანა ერთიანად კახეთად იწოდება.

დასავლეთ საქართველო უძველეს ხანაში ეგრისად მოიხსენება. XI-XIII საუკუნეებში საქართველოს ამ მხარეს იმერეთი დაერქვა. თანდათანობით იმერეთი დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილს ეწოდა, რომელიც ლიხის ქედსა და მდ. ცხენისწყალს, რაჭის ქედსა და მესხეთის ქედს შორის იყო მოქცეული. ცხენისწყლის დასავლეთით ანაკოფიამდე ოდიში ანუ სამეგრელო მდებარეობდა. ნიკოფსიის (დღევანდელი ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთი კი აფხაზეთს ეკავა. XVIII ს. დასაწყისში აფხაზეთის სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარმა მდ. ენგურამდე გადმოიწია.

მდინარე რიონის სამხრეთით, მესხეთის ქედსა და შავ ზღვას შორის, გურია მდებარეობდა. უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით კი აჭარა და ლაზეთი, ანუ ჭანეთი მდებარეობდა.

დასავლეთ საქართველოს მთიანეთი სვანეთს, ლეჩხუმსა და რაჭას ეკავა (რაჭა-ლეჩხუმს ძველად თაკვერს ეძახდნენ). საქართველოს საზღვარი კავკასიონის ქედის იქითაც გადადიოდა, სადაც მდებარეობდა ხევი, დვალეთი, თუშეთი, ნაწილობრივ ხევსურეთი, პირაქეთ – მთიულეთი, ფშავი და ხევსურეთის დიდი ნაწილი. ფშავ-ხევსურეთი ადრე ფხოვის სახელით იყო ცნობილი.

საქართველოს
ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები
პირობითი აღნიშვნები
საქართველოს თანამედროვე საზღვარი
დედაქალაქი
დასახლებული პუნქტი
ჯიქეთი
ფსოუ
ძზიფი
ეგრისი
ოდიში
სოხუმი
ენგური
ცხენისწყალი
ლეჩხუმი
სვანეთი
სამეგრელო
ზუგდიდი
ფოთი
ცაგერი
ალგეთი
ქუთაისი
ყვირილა
ბოდორი
ბაზალეთი
ბოდორი
ლიხი
ბოდორი
ბოდორი
ბოდორ

გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი „საქართველოს ისტორიის“ მნიშვნელობის შესახებ:

წყარო 1

ვახუშტი ბაგრატიონი, XVIII საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი — ისტორიკოსი და გეოგრაფი:

,,მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა, მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა და ჰგმობს უკეთურთ ქმნულებასა, მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის და მოწმობს სხვათა და სხვათა, მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად, მატიანე აცნობებს ნათესავთ ჩამომავლობასა და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის და მოყვარულ ჰყოფს მოყვასსა მოყვასისა მიმართ‘‘.

წყარო 2

ილია ჭავჭავაძე:

,,დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წარწყმედისაც. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა. რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშინ დაგვივიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავე, ჩვენი ცხოვრების საძირკველი და თუ ეს ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?‘‘

წყარო 3

ივანე ჯავახიშვილი:

,,საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი‘‘.

ლექსიკონი

- **მატიანე** – ვახუშტი ბაგრატიონი აქ „მატიანეს“ ისტორიის მნიშვნელობით ხმარობს.
- **არა სცბის** – არ აყალბებს.

კლასში სამუშაო

1. რომელი ქედი ყოფს საქართველოს ორ ნაწილად – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ?
2. საქართველოს რომელი დიდი მდინარეები ეკუთვნის შავი ზღვის აუზს?
3. სად იღებს სათავეს და რომელ ზღვას უერთდება მდ. მტკვარი?
4. წყაროებში მოტანილი მოსაზრებების დახმარებით გადმოეცით, რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის შეწავლას.

საშინაო დავალება

1. საქართველოს ფიზიკურ რუკაზე მოხაზეთ ისტორიული ქვეყნებისა და კუთხეების საზღვრები: ქართლის, კახეთის, იმერეთის, ოდიშის (სამეგრელოს), გურიის, აჭარის, აფხაზეთის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ფშავ-ხევსურეთის) საზღვრები.
2. დახაზეთ საქართველოს სქემატური ისტორიული რუკა აღნიშნული მხარეების სახელებით. შემდეგ გაკვეთილებზე გამოიყენეთ თქვენ მიერ დახატული რუკა.

კავკასიონის ერთ-ერთი ულამაზესი მწვერვალი — უშბა

2. პირველყოფილი ადამიანი საქართველოში

პალეოლითი, ნეოლითი, ენეოლითი

უკანასკნელი ხანის გამოკვლევებით დადგენილია, რომ ადამიანი წარმოიშვა 2 მილიონზე მეტი ხნის წინ აფრიკის კონტინენტზე. ადამიანს დანარჩენი ცოცხალი არსებებიდან განასხვავებდა მთავარი – იარაღის დამზადების უნარი. ამ უძველესი ადამიანის მიერ მასალად ძირითადად ქვა იყო გამოყენებული. ქვის იარაღის გაუმჯობესება და პირველყოფილი ადამიანი ფიზიკურად თავდაპირველად ძალიან ნელა ვითარდებოდა. მეცნიერები ამ ხანას პალეოლითს უწოდებენ.

დმანისში აღმოჩენილი ჰომინიდის თავის ქალა. ძვ.წ. 1.75 მლნ წ.

უძველესი ადამიანის უნივერსალურ იარაღს თავდაპირველად უხეშად დამუშავებული ქვის ხელნაჯახი წარმოადგენდა. თანდათან, ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად იგი ამ იარაღებს აუმჯობესებდა, უფრო მრავალფეროვანს ხდიდა მათ. ქვის ხელნაჯახთან ერთად იგი უკვე ამზადებდა ქვის დანებს, საფხეკებს, წვეტანებს. ქვის იარაღების განვითარება თვით ადამიანებსაც ცვლიდა, უვითარებდა აზროვნებას. გარეგნულადაც სულ უფრო უახლოვდებოდა თანამედროვე ადამიანს.

დმანისის არქეოლოგიური გათხრები

საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგანაა აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების ნაკვალევი. უკანასკნელ ხანს ნაქალაქარ დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩნდა უძველესი ადამიანის წინაპრის („ჰომინიდის“) სადგომი, სადაც მისი ძვლოვანი ნაშთები (თავის ქალა, ქვედა ყბა კბილებით და სხვ.) და ქვის პრიმიტიული იარაღები იყო ნაპოვნი.

დმანისელი „ადამიანი“ საქართველოს მიწაწყალზე დაახლ. 1,8-1,7 მლნ წლის წინათ უნდა გამოჩენილიყო და როგორც ჩანს, შემდეგ იგი სამხრეთ კავკასიდან განსახლდა ევროპისა და აზიის კონტინენტებზე.

ფრანგი მეცნიერი, ელიზაბეტ დენე აღადგენს დმანისელი ადამიანის სახეს

კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე, როდესაც შრომის იარაღები ჯერ კიდევ მეტად პრიმიტიული იყო და საკვების მოპოვება – საკმაოდ რთული, უძველესი ადამიანები უპირატესად ცალკეულ ჯგუფებად ცხო-